სატენდერო დოკუმენტაცია

სსიპ სამტრედიის N 10 საჯარო სკოლა

სამუშაოს დასახელება-ქალაქ სამტრედიის N 10 საჯარო სკოლაში სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესყიდვა გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით

სარჩევი

1.ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

2.საკვალიფიკაციო მოთხოვნები

3. ტექნიკური დოკუმენტაცია

4. ანგარიშსწორების პირობები

5. ტექნიკური დავალება

6. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

7. დამატებითი ინფორმაცია

8. აფიდავიტი(დანართი#1)

9.რეკვიზიტები(დანართი #2)

10.ფასების ცხრილი(დანართ#3)

11.სამუშაოს დასრულების ვადა (დანართი#4)

12.თანხმობა ტექნიკურ პირობებზე(დანართი#5)

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანების შესაბამისად.

1.2 ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3 დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულობა).

1.5 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.6 პრედენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

2.1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები მეწარმე სუბიექტებისათვის:

ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;

ბ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ.

2.2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები ფიზიკური პირებისათვის:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დადასტურებული ასლი;

ბ) ცნობა შესაბამისი ადმინისტრაციული დაწესებულებიდან ნასამართლეობის (არქონის) შესახებ.

2.3. პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემულ უნდა იყოს: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დაწყების შემდეგ, ხოლო არარეზიდენტი პრეტენდენტის შემთხვევაში - საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დაწყებამდე არა უგვიანეს ოცდაათი დღისა.

2.4. ამ პუნქტის 2.1. და 2.2. ქვეპუნქტებით გათვალისწინებული, ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემ(ებ)ის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი, წარმოდგენილ უნდა იქნეს დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები. არარეზიდენტი პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემ(ებ)ის დამადასტურებელ დოკუმენტ(ებ)ს თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე

3. ტექნიკური დოკუმენტაცია

3.1. როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის სისტემაში ასატვირთი დოკუმენტაცია:

ა) რეკვიზიტები დანართი #2-ის მიხედვით.

გ) ფასების ცხრილი, დანართი #3-ის მიხედვით,

შენიშვნა: პრეტენდენის მიერ ტენდერში მონაწილეობა ფასების ცხრილის ატვირთვის გარეშე გამოიწვევს მის დაუყონებლივ დისკვალიფიკაციას.

დ) ინფორმაცია სამუშაოთა დასრულების ვადის შესახებ, დანართი #4-ის მიხედვით

ე) თანხმობა ტექნიკურ დავალებაზე, დანართი #5-ის მიხედვით

3.2 სატენდერო წინადადებაში შესასრულებელ სამუშაოთა საერთო ფასი გამოსახული

უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის

მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის, **მ/შ დღგ-ს გათვალისწინებით.**

ხარჯები რომელიც სატენდერო წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული ან/და

გაფასებული არ ანაზღაურდება.

პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება

3.3 მონაწილე პრეტენდენტს 2012 წლიდან მოცემულ ტენდერში წინადადებების მიღების

დასრულების დღემდე,შესრულებული უნდა ჰქონდეს სამშენებლო-სარეაბილიტაციოსამუშაოები.

აღნიშნულის დასტურად პრეტენდენტმა ელექტრონულ სისტემაში უნდა ატვირთოს შესრულებული

სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ი.

3.3. ანგარიშსწორების პირობები:

3.3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარში;

3.3.2.ანგარიშსწორება მოხდება მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების

აქტის გაფორმებიდან 10 დღის ვადაში, (დღგ-ს გადამხდელის შემთხვავაში სავალდებულოა

ანგარიშ-ფაქტურის წარმოადგენა)

3.3.3 წინასწარი ანგარიშწორების მექანიზმის გამოყენება შესაძლებელია

სახელშეკრულებო ღირებულების არა უმეტეს 20%-ს ოდენობით, რომლის საფუძველსაც

წარმოადგენს ,,მომწოდებლის" მიერ წარმოდგენილი **საბანკო ორგანიზაციის** მიერ გაცემული

საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს.

ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

3.3.4 წინასწარი ანგარიშწორების მექანიზმის გამოყენებისას ,,მომწოდებლი'-ს მიერ

პირველ ეტაპზე წარმოდგენილ შესრულებული სამუშაოების(ფორმა #2, ფორმა #3) ღირებულებას გამოაკლდება

წინასწარ გაცემული თანხის მინიმუმ 50%, ხოლო მეორე ეტაპზე წარმოდგენილ

შესრულებული სამუშაოების ღირებულებას წინასწარ გაცემული თანხის დარჩენილი

ნაწილის სრული თანხა.

3.3.5. საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების

მოცულობისა და ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც გაცემული უნდა
იყოს **სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს** მიერ.

ექპერტიზის დასკვნის წარმოდგენის ვალდებულება ეკისრება ,,მიმწოდებელს”.

3.**4. ხელშეკრლების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია არ გამოიყენება.**

4. ტექნიკური დავალება

4.1მომწოდებლის მიერ სამუშაობი უნდა ჩატარდეს იმ დასახელებებისა და მოცულობების შესაბამისად, რომელიც ასახულია სატენდერო დოკუმენტაციის დანართი #3-ის შესაბამის ცხრილებში:

4.2 ,,მომწოდებელი” ვალდებულია:

ა) სამუშაოები ჩაატაროს მაღალხარისხოვნად.

ბ) სამუშაოთა გაფასებისას აქცენტი გააკეთოს ხარისხიანი საქონლის გამოყენებაზე, სამუშაოების დაწყებამდე ,,შემსყიდველის” შესაბამის კომისიასთან შეათანხმოს გამოსაყენებელი მასალები.

შენიშვნა: წარმოდგენილი ნიმუშების ხარისხიანობაზე მოტივირებული ეჭვის არსებობის შემთხვავაში ,,შემსყიდველს” უფლება აქვს არ დართოს ნება ,,მომწოდებელს” აღნიშნული მასალების გამოყენებაზე და მოსთხოვოს მათი შეცვლა უფრო მაღალი ხარისხის მასალებით.

გ) სამუშაოთა წარმოების პროცესში მუდმივი კონტაქტი იქონიოს ,,შემსყიდველი”-თან (შესაბამისი კომისია) რათა თავიდან იქნას აცილებული ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის გაუგებრობები, ამავდროულად ,,შემსყიდველის” წარმომადგენლის თანდასწრების გარეშე არ განახორციელოს არც ერთი სახის დაფარული სამუშაო (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ის დაფარული სამუშაოები რომელიც განხორციელდება ,,შემსყიდველის” წარმომადგენლის გარეშე არ ანაზღაურდება.

დ) სამუშაოები დაიწყოს ხელშეკრულების ძალაში შესვლის მეორე დღიდან და დაასრულოს 45 კალენდარულ დღეში

ე) - შესრულებულ სამუშაოებზე, მათ შორის სამუშაოებში გამოყენებულ მასალებზე უნდა ვრცელდებოდეს მინიმუმ **5 (ხუთი) წლიანი სრული გარანტია.**

ვ) საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან 2

დღეში (მ/შ ელეტრონული ფოსტით და ტელეფონით) დაიწყოს შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის შეკეთება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე. შენიშვნა: საგარანტიო პირობები არ ვრცელდება ფორს მაჟორული (სტიქიური მოვლენები) სიტუაციებიდან და მექანიკურად მიყენებულ დაზიანებებზე.

ზ) ელექტრონულ ვაჭრობაში მონაწილეობისას ფასის კლება არ განახორციელოს სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო მასალების ხარისხის გაუარესების ხარჯზე

თ) იმ შემთხვევაში თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ზე მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის შემთხვევაში, მიმწოდებელმა უნდა დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა ან/და ამ ფასად ტენდერით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შესაძლებლობა., კერძოდ ,,შემსყიდველის' მოთხოვნის მიხედვით მან უნდა წარმოადგინოს ლიცენზირებული ექსპერტის (ან აუდიტორის) დასკვნა იმის შესახებ რომ დაზუსტებული ფასების ცხრილში ასახული ფასებით შესაძლებელია დაგეგმილი სამუშაოების სრულფასოვნად შესრულება, ან წარმოადგინოს ფასების ცხრილში ასახული ძირითადი მასალების ფასის დამადასტურებელი ინვოისები.

ი) ფასწარმოქმნის ადეკვატურობის შესწავლისას ,,შემსყიდველი"-ს დასაბუთებული ეჭვის არსებობის შემთხვავაში, შესაძლებელია განხილული იქნას საკითხი გამარჯვებული პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შესახებ.

4.3 შესყიდვის ობიექტის განხორციელების ადგილია სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორია კაკაბაძის ქუჩა N 16 ,

N 10 საჯარო სკოლა

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

_____

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

_____

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ___ _____ 201 წ.

ერთის მხრივ

სამტრედიის მუნიციპალიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი”)

და მეორეს მხრივ

_____ (შემდგომში ,,მიმწოდებელი”)

(მიმწოდებლის დასახელება და რეკვიზიტები)

შორის.

იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა ტენდერი

_____

_____

შესყიდვის ობიექტის მოკლე აღწერა

შესყიდვაზე რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი შემდეგ თანხაზე:

_____

(ხელშეკრულების თანხა ციფრებით, სიტყვიერად და ვალუტის ჩვენებით)

(შემდგომში ,,ხელშეკრულების ღირებულება”).

CPV - 45400000 - შენობის დასრულების სამუშაოები

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები **6**

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ _ ,,ხელშეკრულება")

_ შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის

დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული

ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც

ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. ,,ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა

გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი

ვალდებულებების სრული და ხედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3.,,შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში ,,შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას

(დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. ,,მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და

აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. ,,დღე", ,,კვირა", ,,თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. სტანდარტები

ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოს ხარისხი უნდა

შეესაბამებოდეს სამშნებლო წესებითა და ნორმებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და შესაბამისობაში
უნდა იყოს სატენდერო დოკუმენტაციის ,,ტექნიკური დავალების"

პირობებთან,

3. საპატენტო უფლებები.

3.1. საქონლის ან მისი ნებისმიერი ნაწილის გამოყენების საპატენტო უფლების

დარღვევასთან, ასევე სასაქონლო მარკის ან საწარმოო ნაკეთობის გამოყენებასთან

დაკავშირებით წარმოშობილი დავების ან მატერიალური პასუხისმგებლობის მოგვარება

ეკისრება მიმწოდებელს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

4.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ სამუშაოების შესრულების

პარალელურად განახორციელოს კონტროლი შესრულებულ სამუშაოებზე, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

4.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

4.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული საქონლის შეცვლა და კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად დაზიანებული საცდელი ნიმუშების ღირებულების დაფარვა.

4.4. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

4.5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ სამტრედიის მუნიციპალიტეტის შესაბამისი კომისია

5. სამუშაოს შესრულების პირობები

5.1. სამუშაოს შესრულების ვადაა 2014 წლის ----------

5.2. სამუშაოების ჩატარების ადგილია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორია კაკაბაძის ქუჩა N 16 , N 10 საჯარო სკოლა

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები ჩაატაროს ხარისხიანად.

5.4 მომწოდებლის მიერ სამუშაობი უნდა ჩატარდეს იმ დასახელებებისა და მოცულობების შესაბამისად, რომელიც ასახულია სატენდერო დოკუმენტაციის დანართი #3-ში:

5.5 ,,მომწოდებელი” ვალდებულია:

5,5.1 მომწოდებლის მიერ სამუშაობი უნდა ჩატარდეს იმ დასახელებებისა და მოცულობების შესაბამისად, რომელიც ასახულია სატენდერო დოკუმენტაციის დანართი #3-ში:

5.5.2 ,,მომწოდებელი" ვალდებულია:

ა) სამუშაოები ჩაატაროს მაღალხარისხოვნად;

ბ) სამუშაოების დაწყებამდე ,,შემსყიდველის" შესაბამის კომისიასთან შეათანხმოს გამოსაყენებელი მასალები.

შენიშვნა: წარმოდგენილი ნიმუშების ხარისხიანობაზე მოტივირებული ეჭვის არსებობის შემთხვავაში ,,შემსყიდველს" უფლება აქვს არ დართოს ნება ,,მომწოდებელს" აღნიშნული მასალების გამოყენებაზე და მოსთხოვოს მათი შეცვლა უფრო მარალი ხარისხის მასალებით.

გ) სამუშაოთა წარმოების პროცესში მუდმივი კონტაქტი იქონიოს ,,შემსყიდველი"-თან (შესაბამისი კომისია) რათა თავიდან იქნას აცილებული ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებული სხვადსხვა სახის გაუგებრობები, ამავდროულად ,,შემსყიდველის" წარმომადგენლის თანდასწრების გარეშე არ განახორციელოს არცერთი დაფარული სამუშაო. ის დაფარული სამუშაოები რომელიც განხორციელდება ,,შემსყიდველის" წარმომადგენლის გარეშე არ ანაზღაურდება.

დ) სამუშაოები დაიწყოს ხელშეკრულების ძალაში შესვლის ---------- დღიდან და დაასრულოს ---- დღეში

ე) შესრულებულ სამუშაოებზე, მათ შორის სამუშაოებში გამოყენებულ მასალებზე უნდა ვრცელდებოდეს მინიმუმ 5 (ხუთი) წლიანი სრული გარანტია,

ვ) საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან დღეში (მ/შ ელეტრონული ფოსტით და ტელეფონით) დაიწყოს შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის შეკეთება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

შენიშვნა: საგარანტიო პირობები არ ვრცელდება ფორს მაჟორული (სტიქიური მოვლენები) სიტუაციებიდან და მექანიკურად მიყენებულ დაზიანებებზე.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი და ანგარიშწორება **9**

6.1. საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობისა და ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც გაცემული უნდა იყოს **სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს** მიერ.

ექპერტიზის დასკვნის წარმოდგენის ვალდებულება ეკისრება ,,მიმწოდებელს".

6.2 სამუშაობის დასრულების შესახებ ,,მომწოდებელი" შესყიდველს აცნობებს წერილობით და თან წარუდგენს დასრულებული, შესრულებული სამუშაოების აქტს (ფორმა #2,ფორმა #3).

6.3 შემსყიდველის მიერ შექმნილი შესაბამისი კომისია შეისწავლის წარმოადგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობას ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობასთან, რომლის საფუძველზეც მხარეთა შორის დგება მიღება-ჩაბარების აქტი.

6.4 მიღება ჩაბარების აქტი შესაძლებელია გაფორმდეს სამუშაოთა დასრულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენიდან 5 დღის ვადაში, თუმცა ეს არ განიხილება როგორც სახელშეკრულებო ვადის დარღვევა, თუმცა მიღება - ჩაბარების აქტში უნდა დაფიქსირდეს სამუშაოთა რეალურად დასრულების ვადა, რომელზე დაყრდნობითაც დგინდება სამუშაოთა სახელშეკრულებო ვადაში დასრულების (ან ვადაგადაცილების) საკითხები.

6.5 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარში;

6.6 ანგარიშსწორება მოხდება მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 დღის ვადაში, (დღგ-ს გადამხდელის შემთხვავაში სავალდებულოა ანგარიშ-ფაქტურის წარმოადგენა)

6.7წინასწარი ანგარიშწორების მექანიზმის გამოყენება შესაძლებელია სახელშეკრულებო ღირებულების არა უმეტეს 20%-ს ოდენობით, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს ,,მომწოდებლის" მიერ წარმოდგენილი მხოლოდ საბანკო ორგანიზაციის მიერ გაცემული საბანკო გარანტია.

6.8 წინასწარი ანგარიშწორების მექანიზმის გამოყენებისას ,,მომწოდებლი'-ს მიერ პირველ ეტაპზე წარმოდგენილ შესრულებული სამუშაოების ღირებულებას გამოაკლდება წინასწარ გაცემული თანხის მინიმუმ 50%, ხოლო მეორე ეტაპზე წარმოდგენილ შესრულებული

სამუშაოების ღირებულებას წინასწარ გაცემული თანხის დარჩენილი ნაწილის სრული თანხა.

7. ფასები

7.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში

7.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს _____ (_____) ლარს,

7.3. ფასების ცვლილება შესაძლებელია განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ფაქტების დადგომისას.

7.4. ფასების ცვლილების შესახებ ამ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებაზე.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა.

8.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასისი გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

8.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. უფლებების გადაცემა

9.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც

მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

10. სუბკონტრაქტორები

10.1. ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინამდებარე ხელშეკრულების დამატების სახით.

10.2. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

10.3. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11. ხელშეკრულების შესრულების გარანტია არ გამოიყენება

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, _ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით, ხოლო, თუ კი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.5.%-ს.

12.2.იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

12.3. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

12.4 სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ასევე სამუშაოთა არა ჯეროვნად შესრულების გამო ,,შემსყიდველისაგან" ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში ,,შემსყიდველი" იტოვებს დამატებით უფლებას დააჯარიმოს ,,მომწოდებელი" 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით.

12.5 -საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებლის მიზეზით გამოვლენილი დეფექტების ვადაში არ აღმოფხვრის შემთხვევაში, ,,მომწოდებელს" პირგასამტეხლოს სახით დაერიცხება სახელშეკრულებო ღირებულების 2% და იმ მატერიალური ზარალის სრულად ანაზღაურება რომელიც მიადგა შემსყიდველს მომწოდებლის ნაწილობრივი ან სრული უმოქმედობით.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

13.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს სამუშაო.

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13.4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

14. ფორს-მაჟორი

14.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

14.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არისნ დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით 9 ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

15.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30(ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

16. გამოყენებული სამართალი

16.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

17. ხელშეკრულების ენა

17.1. ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

18. შეტყობინება

18.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

18.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან

შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან

რომელი უფრო გვიან დგება.

19. გადასახადები და დაბეგვრა

19.1. უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მისაწოდებელი საქონლის წარმოებასა და მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელები გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

19.2. ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

20. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

20.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ორივე მხარის ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 2015 წლის _____

21. სხვა პირობები

21.1. არც ერთი მხარე არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

21.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

21.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

21.4 გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

21.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
_____	_____

4. დამატებითი ინფორმაცია:

4.1. სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება

პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის

შემთხვევაში. ქ. სამტრედია, კაკაბაძის ქუჩა N 16 ,

N 10 საჯარო სკოლა

საკონტაქტო პირი: მაყვალა თევზაძე - სკოლის დირექტორი

T-577-93-99-10

დანართი #1

აფიდავიტი

სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებთ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

-ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;

-უფლებამოსილი ვარ პრეტენდენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო წინადადება;

- ნებისმიერი პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია სატენდერო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;

- ჩემთვის ცნობილია, რომ ტერმინი ,,კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამ ტენდერში;

-მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულ კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

-სატენდერო წინადადების ფასი;

- სატენდერო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;

- სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისაგან თავის შეკავება;

-ისეთი სატენდერო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული ტენდერის პირობებს;

- შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება;

-სატენდერო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

გავეცანი ამ აფიდავიტის შენაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

თანხმობა

სახელმწიფო შესყიდვის მიზნებისათვის, აფიდავიტი წარმოადგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტსი მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართვის კოდექსის 195 მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად.

დანართი #2

1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

მომსახურე ბანკი:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

ხელმოწერა/ ბეჭედი

_____

ფასების ცხრილი

იხილეთ ცალკე, EXCEL-ის ცხრილების სახით

სამუშაოს დასრულების ვადა

ტენდერში გამარჯვების შემთხვევაში ვიღებ ვალდებულებას სამუშაოები დავიწყო

ხელშეკრულების ძალაში შესვლის მეორე დღიდან და დავასრულო ------ დღეში

ხელმოწერა/ბეჭედი

თანხმობა ტექნიკურ პირობებზე

ტენდერში გამარჯვების შემთხვევაში თანახმა ვარ;

1. სამუშაობი ჩავატარო იმ დასახელებებისა და მოცულობების შესაბამისად, რომელიც ასახულია სატენდერო დოკუმენტაციის დანართი #3-ში:

2. ავიღო ვალდებულება:

ა) სამუშაოები ჩავატარო მაღალხარისხოვნად;

ბ) სამუშაოთა განხორციელებისას გამოვიყენო ხარისხიანი საქონლი, სამუშაოების დაწყებამდე ,,შემსყიდველის" შესაბამის კომისიასთან შევათანხმო გამოსაყენებელი მასალები.

წარმოდგენილი ნიმუშების ხარისხიანობაზე მოტივირებული ეჭვის არსებობის შემთხვავაში მოვახდინო მათი შეცვლა უფრო მარალი ხარისხის მასალებით.

გ) სამუშაოთა წარმოების პროცესში მუდმივი კონტაქტი ვიქონიო ,,შემსყიდველი"-თან (შესაბამისი კომისია) რათა თავიდან იქნას აცილებული ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებული სხვადსხვა სახის გაუგებრობები, ამავდროულად ,,შემსყიდველის" წარმომადგენლის თანდასწრების გარეშე არ განვახორციელო არც ერთი სახის დაფარული სამუშაო.

დ) - შესრულებულ სამუშაოებზე, მათ შორის სამუშაოებში გამოყენებულ მასალებზე ვიღებ მინიმუმ 5 (ხუთი) წლიან სრულ გარანტიას,

ე) საგარანტიო ვადის განმავლობაში ვიღებ ვალდებულიაებას შეტყობინების მიღებიდა 2 დღეში (მ/შ ელეტრონული ფოსტით და ტელეფონით მიღებულ შეტყობინება) დავიწყო შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის შეკეთება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

შენიშვნა: საგარანტიო პირობები არ ვრცელდება ფორს მაჟორული (სტიქიური მოვლენები) სიტუაციებიდან და მექანიკურად მიყენებულ დაზიანებებზე.

ხელმოწერა/ ბეჭედი